gnta.ge | georgia.travel

Georgia

საერთაშორისო ვიზიტორების

ძირითადი მახასიათებლები

2024

2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 7.4 მილიონი ვიზიტი განხორციელდა, რაც +4.2%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც +4.65%-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების უმრავლესობა (51.9%) დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეგობრების / ნათესავების მონახულება (22.8%), ტრანზიტი (12.9%), პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა (5.7%) და შოპინგი (4.8%). ვიზიტების მხოლოდ 2%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი

საერთაშორისო ვიზიტის მთავარი მიზანი



საერთაშორისო ვიზიტების 76% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 24% კი პირველადს. შესაბამისად 2024 წელს საქართველოში 1,546,290 პირველადი ვიზიტი განხორციელდა.

მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში აბსოლიტური უმრავლესობა განმეორებითი ვიზიტი იყო (97.8%), შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 92.3%, რუსეთი 88.8% და თურქეთი 75.8%. არამეზობელი ქვეყნების რეზიდენტების თითქმის ნახევარი პირველად ეწვია საქართველოს. მათ შორის ჩინეთი, რომლის ვიზიტების 75.1%-ი პირველად დაფიქსირდა, ასევე სპარსეთის ყურის ქვეყნების ვიზიტების 64.1%-ი პირველადი ვიზიტი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების 49.3%-მა და ინდოეთის 44.1%-მა ასევე პირველად იმოგზაურა საქართველოში.

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 5.5 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან (4.2 ღამე), რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საშუალოდ 7.3 ღამით რჩებიან. სხვა ქვეყნის რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანგრძლივად, 7.6 ღამეს ჩერდებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ამერიკის შეერთებული შტატების ვიზიტორები, რომლებიც საშუალოდ 11 ღამეს ჩერდებოდნენ ქვეყანაში, ასევე ევროკავშირის ქვეყნების და დიდი ბრიტანეთის ვიზიტორები, რომელთა საშუალო ღამისთევა ვიზიტზე 7.2 ღამეს შეადგენს, სპარსეთის ყურის ქვეყნების ღამისთევა კი 6.5 ღამით განისაზღვრა.

ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
რუსეთი	7.3
აზერბაიჯანი	3.8
სომხეთი	2.4
თურქეთი	2.3
ამერიკის შეერთებული შტატები	11
ევროკავშირის ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი	7.2
სპარსეთის ყურის ქვეყნები	6.5

საერთაშორისო ვიზიტების 54.6% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 40.1%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: ქუთაისში (8.8%), ყაზბეგში (8.2%), მცხეთაში (7.4%), გუდაურში (5.3%), ბორჯოში (4.8%), სიღნაღსა (4.2%) და გორში (3.4%). ვიზიტების უმეტესობა რეგიონულ დონეზე ასევე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარის (40.9%) და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი (16.5%). დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის 9.6%, იმერეთის 9%, ქვემო ქართლისა 8.7% და კახეთის რაგიონში 6.6%.

ყველაზე ხშირად მონახულებადი ტურისტული ადგილები



საქართველოში ჩამოსვლამდე საერთაშორისო ვიზიტორებმა სხვადასხვა ინფორმაციის წყარო გამოიყენეს. ვიზიტორების უმეტესობას გამოცდილება წინა მოგზაურობისგან ჰქონდათ (57.7%), ვიზიტების 51.5%-ის შემთხვევაში მათ ინფორმაცია მეგობრებისგან/ახლობლებისგან მოიძიეს, ვიზიტების 19%-ისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 9.7%-მა ამისათვის ტელევიზია / რადიო გამოიყენა.

ვიზიტორების დიდი ნაწილი, რომლებიც პირველად იმყოფებოდა საქართველოში, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მეგობრებს და ნათესავებს დაეკითხა (72.1%), 41.8%-მა ინფორმაცია ინტერნეტით მოიძია, ხოლო 5.4%-ისთვის ინფორმაციის წყარო ტურისტული ორგანიზაცია იყო

ინფორმაციის წყარო



საერთაშორისო ვიზიტების 25.7% მარტო ხორციელდებოდა, ხოლო დანარჩენები ვიზიტების დროს ვიზიტორებს სულ მცირე ერთი კომპანიონი ჰყავდათ, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრი ან ნათესავი იყო (48%). ვიზიტების 24.1%-ისთვის კი ვიზიტორის თანხმლები პირი მეგობარი იყო

ვიზიტისას თანმხლები პირი



საერთაშორისო ვიზიტების ეკონომიკური სტატუსი შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა დაქირავებული მომუშავეების მიერ განხორციელდა (63.5%). შემდეგ მოდის თვითდასაქმებულის (12.1%) და დამსაქმებლის (6.9%) კატეგორია.

საერთაშორისო ვიზიტების 94.3%-ის შემთხვევაში ვიზიტორებს არ უსარგებლიათ ტურისტული პაკეტით. შეძენილი ტურისტული პაკეტით განხორციელებულ ვიზიტებში უცხოური და ქართული ტურ-ოპერატორების გადანაწილება შესაბამისად 4.8% და 0.9% იყო. ჯამში 2024 წელს ტურისტული პაკეტის შესაძენად საერთაშორისო ვიზიტორებმა ერთ მილიარდ ლარზე მეტი გადაიხადეს.

განაწილება ვიზიტორის ეკონომიკური აქტივობის მიხედვით



ტურისტული პაკეტით სარგებლობა



საერთაშორისო ვიზიტების 40.5%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილია განხორციელებული ვიზიტით, 53.1% ძალიან კმაყოფილი, ხოლო 0.4%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.5-ს შეადგენდა (5-დან).

2024 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 35,739,326-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (41.6%) სასტუმროში განხორციელდა, დაახლოებით 23.8% ნაქირავებ ბინაში და 19.1% კი მეგობრის / ნათესავის სახლში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (ღამისთევების 9.8% საკუთარ სახლში, ხოლო 5.1% კი სასტუმრო სახლი/ჰოსტელში განხორციელდა)

ღამისთევების განაწილება განთავსების ობიექტებში



საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 14.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც +10.3%-ით გაზრდილია 2023 წლის მონაცემებთან შედარებით, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 2,211 ლარი შეადგინა.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი განთავსების საშუალებებზე (მთლიანი ხარჯების 33.7%) და შოპინგზე (24.1%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი საკვებზე/სასმელზე დანახარჯები (22.4%), ხოლო რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 10.8% გასწიეს.

მნიშვნელოვნად განსხვავდება მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საშუალო დანახარჯები. მეზობელი ქვეყნების ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,522 ლარი შეადგინა, მაშინ როცა არამეზობელი ქვეყნების საშუალო დანახარჯი 3,280 ლარით განისაზღვრა.

დანახარჯების კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი (ლარი)	წილი %
განთავსების საშუალებები	4,807,937,671	33.7%
შოპინგი	3,436,245,081	24.1%
საკვები და სასმელი	3,193,389,493	22.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,548,787,953	10.8%
ადგილობრივი ტრანსპორტი	1,139,793,840	8.0%
სხვა დანახარჯები	149,214,208	1.0%

მეთოდოლოგია

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს საერთაშორისო ვიზიტორების გამოკითხვას. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით. მეთოდოლოგია დაფუძნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე. ინტერვიუები ტარდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ინტერვიუები ტარდება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

მოგზაური

არის ნებისმიერი ასაკის არარეზიდენტი პირი, რომელიც **გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.**

მათ შორის, **მოგზაური** გულისხმობს საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც **არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები** და გამორიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა რეზიდენტობის ქვეყანა საქართველოა.

ვიზიტორი

არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს **არარეზიდენტი მოგზაური,** რომელმაც განახორციელა **ვიზიტი საქართველოს ტერიტორიაზე 1 წელზე ნაკლები დროით და თვეში მისი დასრულებული ვიზიტების რაოდენობა არ აღემატება 8 ვიზიტს.**

იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურმა განახორციელა ვიზიტი **1 წელზე მეტი დროით ან თვეში 8-ჯერ ან მეტჯერ,** მისი ვიზიტის ადგილი განისაზღვრება, როგორც ჩვეული გარემო და გამორიცხავს ვიზიტორის კლასიფიკაციას.

ტურისტი

არის ვიზიტორი, რომელმაც **ღამე გაათენა** საქართველოს ტერიტორიაზე.

ერთდღიანი ვიზიტორი

(ექსკურსანტი)

არის ვიზიტორი, რომელიც **ღამეს არ ათენებს** საქართველოს ტერიტორიაზე.

სხვა კატეგორია

მოიცავს 14 წლის ან უმცროსი ასაკის **მოგზაურების** ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს.

8 ან 8-ზე მეტი ვიზიტი თვეში

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს დასრულებულ ვიზიტებს.